თბილისი. სარაჯიშვილის 17

შემსრულებელი:
იოსებ ფირანიშვილი

დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი

თბილისი 2014 წ

1. საწყისი მონაცემები დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტის შესადგენად.

1.დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტის დამუშავებას საფუძვლად დაედო დავალება არსებული ნაგებობების დემონტაჟზე, გამოყოფილი ნაკვეთის საკადასტრო გეგმა და ტოპოგეგმა, საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა ობიექტისა და მიმდებარე ტერიტორიის ნატურაში დათვალიერება, მოქმედი სნ. და წ- 3.01.01.85 "სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია" მოთხოვნების, დემონტაჟის უსაფრთხო წარმოების ღონისძიებათა გათვალისწინებით.

2. დემონტაჟის დაწყება დაიშვება სათანადო ნებართვის მიღების შემდეგ. აუცილებელია დემონტაჟისთვის განკუთვნილი მოედნის შემოკავება დროებითი ხის ან მავთულბადოვანი ღობით.

2. დემონტაჟის პირობები, ობიექტის დახასიათება.

დემონტაჟისათვის შერჩეული ნაკვეთი 3446კვმ განთავსებულია ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის 17 -ში (ქარის სიჩქარე 100კგ/კვმ. გრუნტის ჩაყინვის სიღრმე 43სმ. ზამთრის საშუალო ტემპერატურა –8. ზაფხულის საშუალო ტემპერატურა 29.) სადემონტაჟე შენობებიდან ერთი ორსართულიანია გეგმაში ზომით 32X12.3 (სიმაღლით 8,00 მ); ორი შენობა ერთსართულიანია შესაბამისად 9.3X3.60 (სიმაღლით 2.5 მ). 3.20X2.60 (სიმაღლის 2მ), სამივე შენობის ჯამური მოშენების ფართი შეადგენს 435.4 კვმ. საერთო ფართი 829 კვმ. დემონტაჟის მოცულობა 2777 კბმ. 0,00 შეესაბამება 450,4 ნიშნულს.

სადემონტაჟო ორსართულიანი შენობა შერეული ტიპისაა, საძირკვლები ანაკრები რკინა-ბეტონისაა, მონოლითური რანდკოჭებით, ძირითადი მზიდი კონსტრუქცია კარკასულია, ანაკრები კოლონებითა და რიგელებით, სართულშუა გადახურვა შესრულებულია ანაკრები ღრუტანიანი ფილებით. კედლების შევსება შერეულია წვრილი სამშენებლო ბლოკით და აგურით. გადახურვა ქანობიანია, თუნუქის პროფილირებული ფენილი შავი ლითონის ნივნივებზე.

დანარჩენი ორი შენობა წარმოადგენს დროებით ნაგებობებს და აგებულია ცოკოლისა და წვრილი სამშენებელო ბლოკებით.

3.დემონტაჟის ხანგრძლოვობის განსაზღვრა

სადემონტაჟო შენობები საშუალო სირთულისაა და დემონტაჟის სავარაუდო ვადაა 45 სამუშაო დღე (იხ. კალენდარული გრაფიკი)

4. დემონტაჟის გენერალური გეგმა რეკომენდაციები საერთო სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებასა და წარმართვაზე

1. სადემონტაჟო გენგეგმა მოცემულია დოპ-ის ნახაზზე. იხ.(დანართი1)
2. სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას გამოყენებული უნდა იყოს მექანიზაციის საშუალებები.
3. ობიექტის დემონტაჟი უნდა განხორციელდეს ავტოამწის საშუალებით
4. გენგეგმაზე მოცემულია ამწის მოძრაობის სქემა ობიექტების შესაბამისად.(რომელიც დაზუსტდება მშენებლობის წარმოების პროცესში)
5. ყურადღება უნდა მიექცეს ამწის მუშაობისას უსაფრთხოების წესების დაცვას.

5. შრომითი უსაფრთხოება ამწის მუშაობისას

1. უცხო პირთა შესვლა სამშენებლო მოედანზე დაუშვებელია. ტვირთის აწევისას ქუჩის მხარეს უნდა იყოს მესიგნალე ფეხმავალთა და ტრანსპორტის რეგულირების მიზნით.
2. იკრძალება ისარზე ჩამოკიდებული ტვირთით ისრის შემობრუნება ქუჩის მხარეს.

6. მითითებები მშენებლობის წარმოებისას უსაფრთხოების წესების დაცვის თაობაზე

1. მასალებისა და ნაკეთობათა დასაწყობება უნდა მოხდეს ტექნოლოგიური მოთხოვნილებების პირობათა გათვალისწინებით. ამავე დროს მასალა-ნაკეთობები უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ არ მოხდეს მათი მოცურება.

2. მუშა მოსამსახურეებზე გაცემილი უნდა იქნას სპეცტანსაცმელი,

სამუშაო პირობებიდან გამომდინარე. მუშა მოსამსახურე პერსონალს უტარდება ინსტრუქტქჟი მშენებლობაზე უსაფრთხოების ღონისძიებათა უზრუნველყოფის საკითხებზე.

3. ასევე მაქსიმალური ყურადღება უნდა მიექცეს ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვას, რაც გამოიხატება ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების ელემენტარული ნორმებისა და წესების დაცვით, ასევე საწარმოო ტექნოლოგიური დისციპლინის გამტკიცებით.

4. სამშენებლო ნაგვის ტრანსპორტირება ფხვიერ მდგომარეობაში ტრანსპორტირებისას რეკომინდირებულია ავტომანქანის ძარაში ჩატვირტვის შემდეგ ზედაპირის დაინამვა.

7. დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტის ნორმატივები

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის შესადგენად გამოყენებულია შემდეგი ნორმატიული და მეთო დური მასალები:

– სნ და წ 3.01.01-85 "სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია".
– სნ და წ 1.04.03-85 "მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები "

– "სამშენებლო წარმოების ნორმები და წესები" ამონაკრები მოქმედი ნორმატიული დოკუმენტებიდან:
თბილისი, 1987 წელი, მშენებლობის სამინისტრო.

8. მანქანების მექანიზმების, დანადგარებისა და ინსტრუმენტების ჩამონათვალი

№№	დასახელება	მარკა	რაოდ
1	ექსკავატორი 0.5კბმ. ჩამჩით	ე-651	1
2	თვითმცლელი	მაზ-525	1
3	ამწე (ავტოსვლაზე)	KC-4571	1
4	გადასატანიკომპრესორი	სო-45	1
5	შესადუღებელი აპარატი	კომპ.	1
6	ლითონის ხარაჩო 50-კვმ-ზე.	კომპ.	3
7	სხვადასხვა ინსტრუმენტები	კომპ.	6

მითითება: მშენებლობის პროცესში აღნიშნულ ნუსხას შეიძლება დაემატოს უფრო თანამედროვე მანქანა–მექანიზმებ

ამწე KC-4571 ტექნიკური მაჩვენებლები (კრაზ-256კ ბაზაზე)


ისრის სიგრძე	15.75 მ.
ისრის შვერა:	
მაქსიმალური	16.3 მ.
მინიმალური	10.6 მ.
ტვირთამწეობა:	
მაქსიმალური	16 ტ.
მინიმალური	3.7 ტ.
აწევის სიმაღლე:	
მაქსიმალური	16.3 მ.
მინიმალური	10.6 მ.
ტვირთის აწევის სიჩქარე	10.4 მ/წთ.
ტვირთის მობრუნების სიჩქარე	2.1 მ/წთ.
მასა	12.7 ტ.

16ა. მშენებლობის კალენდარული გეგმა

№№	სამუშაოთა ჩამონათვალი	დღეების რაოდენობა	ხანგრძლივობა დღეებში								
			5	5	5	5	5	5	5	5	5
1	სახურავის დემონტაჟი	5									
2	შემავსებელი კედლებისა და ტიხრების დემონტაჟი	15									
3	სართულშუა გადახურვის დემონტაჟი	5									
4	მზიდი კარკასის დემონტაჟი	10									
5	ანაკრები ფინდამენტის და პირველი სართულის იატაკის დემონტაჟი	10									
6	მეორადი მასალების და სამშენებლო ნარჩენების გატანა	30									

დანართი 1

სადემონტაჟო გეგმა



ექსპლიკაცია:

1. სადემონტაჟო ნაგებობები
2. მეორადი მასალების დროებითი დასაწყობების მოედანი

ახსებული სიტუაციის ფოტოები



